სსიპ-ების და სხვა დამოუკიდებელი საჯარო დაწესებულებების ავტოპარკი და საწვავის ხარჯები

2018-2019 წლები



Supported by
Luminate
Building stronger societies

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

კვლევა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია Luminate-ის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Luminate-ის პოზიციას.

სარჩევი

ძირითადი მიგნებები 3
შესავალი 4
ავტოპარკი 5
თანამდებობის პირების მიერ მოხმარებული საწვავის ოდენობა და განვლილი კილომეტრაჟი 8
შეჯამება 14

ძირითადი მიგნებები

- ✓ ბოლო ორი წლის განმავლობაში 31-მა უწყებამ ჯამში 382 ავტომობილი შეისყიდა, საიდანაც 253 ერთეული არის 2018-2019 წლებში გამოშვებული უახლესი მოდელი.

- ✓ 2018-2019 წლებში, 31 სსიპ-ს მიერ შესყიდული ავტომობილების ჯამურმა ღირებულებამ 18 მილიონ ლარს გადააჭარბა.

- ✓ კვლევის სამიზნე უწყებების თანამდებობის პირებზე განპიროვნებული ავტომობილების უმრავლესობა მაღალი გამავლობის ავტომობილებია, კერძოდ, 133-იდან 75 (56.4%).

- ✓ 2019 წლის 27 ივნისს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 151,574.4 ლარად შეისყიდა Toyota Land Cruiser-ის მოდელის ავტომობილი, რაც მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ავტომობილის ზღვრული ფლობის ღირებულებას 10,000 ლარით აღემატება.

- ✓ თანამდებობის პირებისთვის დაწესებული ყოველთვიური საწვავის ლიმიტები 140 ლიტრიდან 850 ლიტრამდე მერყეობს. ყველაზე მაღალი ლიმიტით გამოირჩევა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი (თვეში 850 ლიტრი).

- ✓ 122 თანამდებობის პირმა 2019 წელს 425,000-მდე ლიტრი საწვავი მოიხმარა, რაც სახელმწიფოს დაახლოებით მილიონი ლარი დაუჯდა.

- ✓ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა 2019 წელს ყველაზე მეტი, 10,371 ლიტრი საწვავი მოიხმარა და 50,200 კმ დაფარა.

- ✓ 2019 წელს, 10-მა თანამდებობის პირმა ჯამში დაახლოებით 490,000 კილომეტრი გაიარა, თითოეულმა საშუალოდ 49,000 კილომეტრი.

- ✓ 2019 წელს 20-მა თანამდებობის პირმა გადააჭარბა დადგენილ საწვავის ლიმიტს.

- ✓ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, ერთი წლის განმავლობაში, საკუთარი თავისთვის დადგენილი ლიმიტი ოთხჯერ გაზარდა, 275 ლიტრიდან 600 ლიტრამდე.

შესავალი

საჯარო დაწესებულებების ავტოპარკი და მისი რეგულარული განახლება/შენახვა მოცულობით ბიუროკრატიულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, ამ სფეროში მნიშვნელოვანია მაქსიმალური ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

სახელმწიფო ავტოპარკის ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, 2014 წლის 6 თებერვალს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება – „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურეობრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“[1]. დადგენილებამ განსაზღვრა ავტომობილთა ზღვრული ღირებულებები, მათი კლასიფიკაცია, თანამდებობის პირების ჩამონათვალი, რომლებსაც შეუძლიათ განპიროვნებული სახელმწიფო ავტომობილით სარგებლობა და სხვა რეგულაციები.

ოპტიმიზაციის ეს პროცესი საგრძნობლად გართულდა, რაც აისახება 2019 წლის 13 სექტემბერს, გამოქვეყნებულ სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხების უწყებათაშორისი სისტემური შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში[2]. აუდიტის სამსახურის დასკვნით, სახელმწიფო ავტოპარკის ოპტიმიზაციაზე მთავრობის დადგენილების უმთავრესი მიზანი მიღწეული არ არის. გამოვლინდა რიგი ხარვეზები: სამორიგეო და განპიროვნებული ავტომანქანების განსაზღვრულზე ჭარბი რაოდენობა, ავტომობილების შესყიდვისას ტექნიკური მოთხოვნების დაუცველობა, საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებული შეუსაბამობები და ა.შ.

წინამდებარე კვლევის მიზანია, სამინისტროებს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების და სხვა დამოუკიდებელი უწყებების ავტოპარკის და მათი განკარგვის პრაქტიკის ანალიზი.

ამ მიზნით, IDFI-მ 2019 წლის დეკემბერში 90-მდე საჯარო დაწესებულებას მიმართა მათ ბალანსზე რიცხული ავტომობილების, საწვავის ლიმიტების დამდგენი ნორმატიული აქტების და 2018-2019 წლებში საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯების შესახებ, ასევე, თანამდებობის პირებზე განპიროვნებული ავტომობილების მიერ დაფარული კილომეტრაჟისა და მოხმარებული საწვავის ზუსტი ოდენობის შესახებ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით.

კვლევის ფარგლებში IDFI-მ ინფორმაცია მიიღო სულ 65 უწყებიდან, საიდანაც მოწოდებული ინფორმაციის ნაწილი არასრულყოფილად იყო წარმოდგენილი. მაგალითად, მხოლოდ 60-მა უწყებამ გაასაჯაროვა ავტომობილების შესყიდვის საწყისი ფასები და თანამდებობის პირებზე განპიროვნებულ ავტომობილებზე დაწესებული საწვავის ლიმიტები, 57-მა უწყებამ წლის განმავლობაში გაცემული საწვავის ოდენობა. განპიროვნებული ავტომობილების მიერ განვლილი კილომეტრაჟის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ 51-მა უწყებამ გასცა, ხოლო წვის საშუალო მაჩვენებლების შესახებ მხოლოდ 52 უწყებამ, რაც, სავარაუდოდ, მიანიშნებს ამ მონაცემების აღრიცხვიანობის კონტროლის მექანიზმების არასრულფასოვნებაზე. დეტალური ინფორმაციისთვის იმ საჯარო დაწესებულებების შესახებ, რომლებიც ცალკეულ მონაცემებს არ აღრიცხავენ, არასრულად აღრიცხავენ ან თავი აარიდეს გასაჯაროებას, იხილეთ დანართი#1.

[1] სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ

[2] აუდიტის ანგარიში

IDFI-ს მიერ, კვლევის ობიექტი საჯარო დაწესებულებებიდან მიღებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნების შესაბამისობის ანალიზი. ასევე, დამატებით განხილულია ცალკეულ უწყებებში მოქმედ საწვავის მოხმარების განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტები და მათთან მიმართებაში არსებული დარღვევები.

ავტოპარკი

65 საჯარო დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2019 წლის მიწურულს მათ ბალანსზე სულ ირიცხებოდა 2,850-მდე ერთეული ავტომობილი (სამორიგეო, განპიროვნებული, სპეციალური დანიშნულების). ყველაზე მასშტაბური ავტოპარკით გამოირჩევიან შემდეგი უწყებები: სურსათის ეროვნული სააგენტო (425 ერთეული), შემოსავლების სამსახური (411 ერთეული), საგამოძიებო სამსახური (292 ერთეული), სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახური (265 ერთეული), გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (206 ერთეული), დაცული ტერიტორიების სააგენტო (126 ერთეული), ეროვნული სატყეო სააგენტო (122 ერთეული).

65 უწყებიდან 29-ს ბოლო ორი წლის განმავლობაში ავტომობილები არ შეუძენია, ხოლო 5-მა უწყებამ IDFI-ს არ მიაწოდა შესყიდვის ფასების შესახებ ინფორმაცია. მათ შორის არიან: შემოსავლების სამსახური, შესყიდვების სააგენტო, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია და სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

დანარჩენმა 31-მა უწყებამ ბოლო ორი წლის განმავლობაში სულ შეისყიდა 382 ავტომობილი, რომელთა საერთო ღირებულებამ 18 მილიონ ლარს გადააჭარბა. შესყიდულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა შორის 253 იყო 2018-2019 წლებში გამოშვებული უახლესი მოდელის ავტომობილი.

სამინისტროებს დაქვემდებარებული სსიპ-ებიდან 2018-2019 წლებში ახალი ავტომობილების შესყიდვებზე ყველაზე მაღალი ხარჯი გასწიეს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა (123 ავტომობილი, 5,721,525 ₾), საგამოძიებო სამსახურმა (51 ავტომობილი, 2,232,000), დაცული ტერიტორიების სააგენტომ (37 ავტომობილი, 1,736,000) და საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (19 ავტომობილი, 1,375,000 ₾). მათი შესყიდვების ძირითად ნაწილს შეადგენს შემდეგი მოდელის ავტომობილები: Ford Ranger (2019), Renault Duster, Mitsubishi L200, Toyota Hilux, Skoda Octavia და Kia Niro, რომელთა საწყისი ფასი საშუალოდ 40,000-დან 55,000 ლარამდე მერყეობს.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2018-2019 წლებში სურსათის ეროვნულ სააგენტოს უსასყიდლოდ გადაეცა 250 ავტომობილი, რაც ჯამში 11,772,018 ₾-ის ღირებულებას აღწევს.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის N121 დადგენილებით, საჯარო დაწესებულებებს მნიშვნელოვანი შეზღუდვები დაუწესდათ ძვირადღირებული ავტომობილების შესყიდვაზე. თუმცა, ავტოპარკის მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევას. მაგალითად, 2019 წლის 27 ივნისს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 151,574.4 ლარად შეისყიდა Toyota Land Cruiser-ის მოდელის ავტომობილი, რომლითაც სარგებლობს დეპარტამენტის თავმჯდომარე. დადგენილების მიხედვით, I კლასის მაღალი გამავლობის ავტომობილის ზღვრული ფლობის (ავტომანქანის ფასს + 150,000 კმ-

ზე საწვავის ფასი + სერვისის ღირებულება) ღირებულებაა 50,200 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. ამ ავტომობილის შესყიდვის მომენტისათვის მოქმედი კურსის (2.8243) შესაბამისად, მხოლოდ შესყიდვის ფასმა, მის დადგენილ ზღვრულ ღირებულებას გადააჭარბა 10,000 ლარით. ინსტიტუტისთვის უცნობია დეპარტამენტმა ამ შემთხვევაში მიმართა თუ არა შესაბამის კომისიას გამონაკლისის დაშვების შესახებ მოთხოვნით.

ასევე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის სამ მოადგილეზე განპიროვნებულია TOYOTA LANDCRUISER LC 150-ები, რომლებიც უწყებამ 2018 წელს თითოეული 112,502 ლარად შეისყიდა.

**შენიშვნა: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დაზუსტებული ინფორმაციის მიხედვით, ავტომობილების შესყიდვა განხორციელდა „აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზის და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის“ მიერ. ეს ავტომობილები წარმოადგენს ფონდის საკუთრებას და დროებით სარგებლობისთვის გადაცემული აქვთ პროგრამის განმახორციელებელ ორგანიზაციებს.*

სხვა დამოუკიდებელ სსიპ-ებს შორის 2018-2019 წლებში ავტომობილების შესყიდვაზე ყველაზე დიდი თანხა დახარჯეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა (13 ავტომობილი, 785,000 ₾), ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა (12 ავტომობილი, 400,400 ₾) და ეროვნულმა ბანკმა (7 ავტომობილი, 320,000 ₾).

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა 2019 წელს შეისყიდა ორი Toyota Camry (ღირებულება 85,500 ₾ და 82,135₾), ორი Toyota Rav4 (თითოეულის ფასი 75,000 ₾) და ცხრა Toyota Corolla (53,400₾). ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა 2019 წელს შეისყიდა შვიდი უახლესი მოდელის მაღალი გამავლობის Renault Duster (თითოეულის ფასი 43,680₾) და შვიდი უახლესი მოდელის Renault Sandero (თითოეულის ფასი 26,000₾).

ინდივიდუალური შესყიდვების ღირებულების შესახებ ინფორმაცია არ მოგვაწოდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიურომ, თუმცა მოგვაწოდა საავტომობილო

ნუსხა, რის მიხედვითაც უწყებას 2018-2019 წლებში შესყიდული აქვს 7 ავტომობილი. აღნიშნული გადავამოწმეთ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში და დავადგინეთ, რომ 2018 წელს ბიურომ 139,470 ლარად შეისყიდა 5 Kia Rio (თითოეულის ფასი - 27,894₾) და 44,818 ლარად ერთი Suzuki Vitara, ხოლო მეშვიდე ავტომობილი - 2019 წლის Renault Duster არ აისახება შესყიდვების პორტალზე.



კვლევის ფარგლებში გაანალიზებული ავტოპარკის მონაცემები აჩვენებს, რომ თანამდებობის პირები უფრო ხშირად მაღალი გამავლობის ავტომობილებით სარგებლობენ. კერძოდ, 55 უწყების თანამდებობის პირებზე (ხელმძღვანელსა და მის მოადგილეებზე) განპიროვნებული 133 ავტომობილიდან, უმრავლესობა 75 (56.4%) მაღალი გამავლობისაა. ეს პროცენტული მაჩვენებელი უმეტესწილად განპირობებულია სამინისტროების დაქვემდებარებაში არსებული სსიპ-ების თანამდებობის პირების მიერ მაღალი გამავლობის ავტომობილებით სარგებლობის არსებული პრაქტიკით. თანამდებობის პირებზე განპიროვნებულ მაღალი გამავლობის ავტომობილების რიცხვში შედის 19 Land Cruiser Prado, 6 Mitstubishi Pajero, 5 Kia Sportage, 5 Renault Duster და სხვა.



თანამდებობის პირების მიერ მოხმარებული საწვავის ოდენობა და განვლილი კილომეტრაჟი

კვლევის ფარგლებში შესწავლილი უწყებების უმრავლესობა, საწვავის გასაცემად იყენებს, ეგრეთ წოდებულ, აგაი სისტემას. ეს არის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ავტოგასამართი სადგურის „პისტოლეტის“ და ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირებას და იდენტიფიცირებას და შედეგად, უზრუნველყოფს მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურზე პრემიუმის ჩასხმას მხოლოდ ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზში. უწყებები ასევე იყენებენ საწვავის ალოკაციის სხვა მეთოდებსაც, კერძოდ, ელექტრონულ ბარათებსა და ტალონებს.

უწყებების უმრავლესობაში მოქმედებს ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ბრძანება, ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების განაწილებისა და ავტომანქანებზე საწვავის ზღვრული ლიმიტების განსაზღვრის შესახებ. მსგავს ბრძანებებში ასახულია კონკრეტული ავტომობილები და მათთვის დადგენილი ყოველთვიური საწვავის ლიმიტები. IDFI-იმ ცალკეული უწყებებიდან გამოითხოვა ამ ნორმატიული აქტის ასლები და კვლევის ფარგლებში ლიმიტის მაჩვენებლები შეადარა თანამდებობის პირების მიერ წლის განმავლობაში მოხმარებულ საწვავის რეალურ ოდენობებს.

თანამდებობის პირებისთვის დაწესებული ყოველთვიური საწვავის ლიმიტები 140 ლიტრიდან 850 ლიტრამდე მერყეობს. ყველაზე მაღალი ლიმიტებით გამოირჩევიან ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი და ქვემოთ მოცემული სხვა უწყებების ხელმძღვანელები.

ამ სიაში არ მოხვდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, ვინაიდან მათ უარი განაცხადეს ბალანსზე რიცხული ავტომობილების განპიროვნების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე. თუმცა, სამსახურის საწვავის ლიმიტების განმსაზღვრელი აქტის თანახმად, უწყებას ერთ-ერთ ავტომობილზე გამოყოფილი აქვს 1000 ლიტრი საწვავი ყოველ თვიურად, შვიდ ავტომობილზე 700 ლიტრი, ხოლო ორ ავტომობილზე 600 ლიტრი.

საწვავის მოხმარებაზე დაწესებული ყოველთვიური ლიმიტები			
ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	სამსახურის დირექტორი	850 ლ	TOYOTA LANDCRUISER LC-200
ეროვნული ბანკი	ბანკის პრეზიდენტი	700 ლ	TOYOTA CAMRY
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	დეპარტამენტის უფროსი	600 ლ	TOYOTA LANDCRUISER LC-150
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	სააგენტოს თავმჯდომარე	600 ლ	VW PASSAT
ცესკო	კომისიის მოადგილე	600 ლ	KIA SORENTO
დაავადებათა კონტროლის ცენტრი	გენერალური დირექტორი	550 ლ	MITSUBISHI PAJERO
სახალხო დამცველის აპარატი	სახალხო დამცველი	550 ლ	VW TOUAREG
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	სააგენტოს თავმჯდომარე	550 ლ	TOYOTA CAMRY

კვლევის სამიზნე 122-მა თანამდებობის პირმა 2019 წელს 425,000-მდე ლიტრი საწვავი მოიხმარა, რაც სახელმწიფოს დაახლოებით მილიონი ლარი დაუჯდა. აღსანიშნავია, რომ ეს რიცხვი არ ასახავს სრული წლის მაჩვენებელს, ვინაიდან უწყებების გარკვეულმა ნაწილმა 11 თვის განმავლობაში დახარჯული საწვავის რაოდენობა მოგვაწოდა 2019 წლის ნოემბრის მდგომარეობით.

ათვისებული საწვავის ყველაზე დიდი ოდენობით გამოირჩევა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი. მან 2019 წელს 10,371 ლიტრი საწვავი მოიხმარა, რაც დაახლოებით ორჯერ აღემატება მის 2018 წლის მაჩვენებელს. გასულ წელთან მიმართებით, ასევე, საგრძნობლად გაზრდილია დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის (1,857 ლიტრით), ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილის (2,322 ლიტრით) და მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორის (2,681 ლიტრით) მიერ მოხმარებული საწვავის ოდენობა.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორის, ნავთობის და გაზის სააგენტოს უფროსის და სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მიერ მოხმარებული საწვავის ოდენობა 2019 წელს 6,000 იდან 7,000 ლიტრამდე მერყეობდა, ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანზე 2019 წელს გაიცა 5,393 და 5,494 ლიტრი საწვავი.

შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებულია თანამდებობის პირებზე გაცემული საწვავის მხოლოდ ჯამური მონაცემები. კერძოდ, 2018 წელს შემოსავლების სამსახურის თანამდებობის პირებზე გაცემული საწვავის ოდენობამ 39,051 ლიტრი შეადგინა, ხოლო 2019 წელს - 48,632 ლიტრი.



კვლევის ფარგლებში, ავტომობილების მიერ განვლილი კილომეტრაჟის შესახებ ინფორმაცია მიღებულია მხოლოდ 51 უწყების 80-მდე თანამდებობის პირზე. საიდანაც, ყველაზე დიდი მანძილი 2019 წელს (დეკემბრის მდგომარეობით, 11 თვის მაჩვენებელი) დაფარული აქვს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორს (50,200კმ). 2019 წელს დაფარული მანძილის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან ასევე მისი მოადგილეები: პირველი მოადგილე - 48,700 კმ, მოადგილე - 48,795 კმ.). ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის სამივე თანამდებობის პირის

(დირექტორი, პირველი მოადგილე, მოადგილე) მიერ 2019 წელს განვლილი მანძილი დაახლოებით ორჯერ აღემატება წინა წლის ანალოგიურ პერიოდს. ასევე, აღსანიშნავია, დირექტორის ავტომობილის (TOYOTA LANDCRUISER LC-200) განსაკუთრებით მაღალი წვის კოეფიციენტიც (20ლ/100კმ), რის შედეგად მან 2019 წლის განმავლობაში 10,371 ლიტრი საწვავი მოიხმარა.

იმ უწყებებიდან, რომლებმაც IDFI-ს მიაწოდა განვლილი კილომეტრაჟის შესახებ ინფორმაცია, ასევე მაღალი მაჩვენებლები აქვთ სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს დირექტორზე განპიროვნებულ ავტომობილს, რომელმაც 2019 წელს 48,105 კილომეტრი დაფარა, ხოლო 2018 წელს - 62,772 კმ.

ვინაიდან, განვლილი კილომეტრაჟის შესახებ ინფორმაციის მოწოდება უწყებების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის პრობლემური აღმოჩნდა, IDFI შეეცადა მაღალი საწვავის ათვისების მქონე თანამდებობის პირების შემთხვევაში, ავტომობილის მოდელის წვის მაჩვენებლის გათვალისწინებით, გამოეთვალა მათ მიერ დაფარული სავარაუდო მანძილი.

მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტზე განპიროვნებულია 2013 წლის TOYOTA CAMRY-ის მოდელის ავტომობილი, რომლის საშუალო წვის ქარხნული მაჩვენებელია 11 ლ/100 კმ ზე[3]. 2019 წელს მის მიერ მოხმარებული საწვავის ოდენობის გათვალისწინებით (2019 წელი - 6,474 ლიტრი, 2018 წელი - 7,114 ლიტრი) მას 58,855 კილომეტრამდე უნდა დაეფარა, ხოლო 2018 წელს 64,673, რაც შესწავლილი თანამდებობის პირებიდან ყველაზე მაღალი ნიშნულია.

ამავე გამოთვლებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ავტომობილმა 2019 წელს სავარაუდოდ 49,026 კილომეტრი გაიარა, ხოლო 2018 წელს - 46,212 კილომეტრი.

ცალკეული უწყებების მაგალითზე, მსგავსი გამოთვლების განხორციელების საჭიროება განაპირობა მოწოდებულმა არაზუსტმა მონაცემებმა. მაგალითად, ნავთობის და გაზის სახელმწიფო სააგენტოს ბალანსზე რიცხული ავტომობილების მიერ 2019 წელს განვლილი მანძილის გრაფაში მითითებული აქვთ უჩვეულოდ მაღალი ციფრები, რაც დიდი ალბათობით ავტომობილების ჯამურ კილომეტრაჟს შეესაბამება და არა მოცემულ წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელს. ხოლო შემდგომ, ამ რიცხვზე დაყრდნობით, გამოანგარიშებულია (არასწორი ფორმულით) ცალკეული ავტომობილების წვის საშუალო მაჩვენებლები, რაც მცდარ სურათს გვიხატავს.

2019 წელს გრაფიკზე ასახულმა თანამდებობის პირებმა, ჯამში, დაახლოებით 490,000 კილომეტრი განვლეს. თითოეულმა საშუალოდ 49,000 კილომეტრი დაფარა.

[3] **შენიშვნა**: საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტზე განპიროვნებული ავტომობილის მიერ გავლილი კილომეტრაჟის გამოთვლისას, IDFI-ს მიერ გამოყენებულია, იმავე წელს გამოშვებული მსგავსი მოდელის ავტომობილების (სხვადასხვა მახასიათებლების მქონე) საშუალო წვის ქარხნული მაჩვენებელი. კვლევის გამოქვეყნების შემდგომ, ეროვნულმა ბანკმა IDFI-ს აცნობა, რომ შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისისგან“ მიღებული საპასპორტო მონაცემებით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტზე განპიროვნებული ავტომობილის საშუალო წვის მაჩვენებელი ქალაქში 12.5 ლიტრს შეადგენს. ამ რიცხვის ზემოთ მითითებულ გამოთვლებში გათვალისწინებით, 2018 წელს გავლილი კილომეტრაჟის მაჩვენებელი 7,761 კილომეტრით, ხოლო 2019 წლის მაჩვენებელი 7,063 კილომეტრით შემცირდება.

*კილომეტრაჟი უწყებამ არ მოგვაწოდა, მოცემული ციფრი გამოთვლილია მოხმარებული საწვავის ოდენობასა და ავტომობილის საშუალო წვის მაჩვენებელზე დაყრდნობით.

თანამდებობის პირებზე გაცემული საწვავის ოდენობის და მათზე დაწესებული ყოველთვიური ლიმიტების შედარებით ირკვევა, რომ ცალკეულ შემთხვევებში მოხმარებული საწვავის ოდენობა არ არის შესაბამისობაში სამართლებრივი აქტით დადგენილ ნორმასთან. მსგავსი შემთხვევა IDFI-ს მიერ გამოვლენილია 20-მდე თანამდებობის პირის შემთხვევაში. მათ მიერ 2019 წელს დადგენილ ლიმიტზე საწვავის მოხმარების გადაჭარბების მაჩვენებელი 50-დან 1,000 ლიტრამდე მერყეობს. მათ შორის, ყველაზე დიდი გადაჭარბება უფიქსირდება ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ერთ-ერთ მოადგილეს, რომელმაც 2019 წლისთვის დადგენილ ლიმიტს 1,011 ლიტრით გადააჭარბა.

წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსზე განპიროვნებულ ავტომობილზე დადგენილია 500 ლიტრიანი ყოველთვიური საწვავის ლიმიტი (6,000 წლიური). სააგენტომ არ მოგვაწოდა 2018-2019 წლებში მასზე გაცემული საწვავის ზუსტი რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. თუმცა, სააგენტოს უფროსის მიერ 2019 წელს განვლილი კილომეტრაჟის (43,400 კმ) და მასზე განპიროვნებული ავტომობილის წვის საშუალო მაჩვენებლის (16 ლ/100 კმ) შესახებ მოწოდებული ინფორმაციის

გათვალისწინებით, მას 2019 წელს უნდა მოეხმარა 6,944 ლიტრი საწვავი, რაც 944 ლიტრით აღემატება დადგენილ ლიმიტს.



თანამდებობის პირების მიერ მოხმარებული საწვავის დადგენილ ლიმიტებზე გადაჭარბების ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად შესაძლებელია განხილულ იქნეს, კონკრეტული მივლინებების ფარგლებში, დამატებით გამოყოფილი საწვავის ოდენობა. მაგალითად, სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის დირექტორისთვის დადგენილია 270 ლიტრიანი საწვავის ლიმიტი. დამატებით გათვალისწინებულია სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე, მივლინების პერიოდში, ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, ერთ ჯერზე, გასაცემი საწვავის რაოდენობა — 80 ლიტრი. შესაბამისად, თუკი სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის უფროსი 2019 წლის განმავლობაში რვაჯერ იმყოფებოდა მივლინებაში, შეიძლება ითქვას, რომ დადგენილი ლიმიტი არ დაურღვევია.

ლიმიტების გადაჭარბებასთან ერთად, ასევე პრობლემურად შესაძლებელია შეფასდეს ლიმიტის მოცულობის განსაზღვრის ერთიანი სტანდარტის არ არსებობა. კერძოდ, ხელმძღვანელები საკუთარი შეხედულებისამებრ ადგენენ ყოველთვიურ ლიმიტს და საჭიროებისამებრ შეაქვთ შესაბამისი ცვლილება. მაგალითად, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა, 2018 წლის 25 დეკემბერს ბრძანებით დაიმტკიცა 275 ლიტრიანი ყოველთვიური ლიმიტი, რომელიც 2019 წლის 28 მაისს გაიზარდა 375 ლიტრამდე, რის შემდეგაც იგი კიდევ ორჯერ გაიზარდა, ჯერ 18 ივნისს 500

ლიტრამდე, ხოლო ბოლოს 26 ივნისს 600 ლიტრამდე. შესაბამისად, იურიდიული დახმარების უფროსმა მისთვის განპიროვნებული ერთი და იგივე ავტომობილისთვის დადგენილი ლიმიტის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტში ერთი წლის განმავლობაში ოთხჯერ შეიტანა ცვლილება, რის შედეგად მისი მოცულობა 275 ლიტრიდან 600 ლიტრამდე გაიზარდა.

შეჯამება

საჯარო სამართლის იურიდიული პირების ავტოპარკების ანალიზმა ნათლად აჩვენა მათ რაციონალურ განკარგვასთან დაკავშირებული გამოწვევები. კერძოდ, ავტოპარკის მასშტაბი, მაღალი გამავლობის და ძვირადღირებული მოდელების რაოდენობა და საწვავის მოხმარების არსებული მაჩვენებლები ცალსახად ოპტიმიზაციის და კონტროლის მექანიზმების გამკაცრების აუცილებლობაზე მიუთითებს.

ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსგავსი სურათი მიღებულია იმ ფონზე, როდესაც საჯარო სამართლის იურიდიული პირების მნიშვნელოვანი ნაწილი თავს არიდებს ავტოპარკის განკარგვასთან და საწვავის ათვისებასთან დაკავშირებული მონაცემების გასაჯაროებას. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ ამ უწყებებში ავტოპარკის განკარგვასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები უფრო მასშტაბურია, ვიდრე წინამდებარე კვლევაში არის ნაჩვენები.

მსგავსად ჩვენ მიერ გამოკვლეულ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებისა[4], საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ავტოპარკის განკარგვის და საწვავის ათვისების არსებული პრაქტიკა, კიდევ ერთხელ მიუთითებს სახელმწიფო ავტოპარკის ცენტრალიზებული სერვისის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე, რომლის მართვაში მოექცევა ყველა სახელმწიფო უწყების ბალანსზე არსებული ავტომობილი.

ასოცირების ხელშეკრულების 293-ე მუხლი ითვალისწინებს მდგრადი ეროვნული სატრანსპორტო პოლიტიკის განვითარებას, რომელიც მოიცავს ტრანსპორტის ყველა ტიპს, განსაკუთრებით, ეკოლოგიურად სუფთა, ეფექტიანი და უსაფრთხო სატრანსპორტო სისტემების ინტეგრაციის ხელშეწყობას. თუმცა, შესწავლილი უწყებებიდან არც ერთი არ სარგებლობს ელექტრო ავტომობილებით. გამონაკლისია მხოლოდ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, რომლის ბალანსზეც ირიცხება ხუთი ერთეული Mitsubishi I-Miev-ის მოდელის ელექტრო ავტომობილი, რომლებიც მათ გადაეცათ საჩუქრად. აღნიშნული გამოწვეულია საქართველოს მთავრობის „N121 დადგენილებით“, რომელიც არ იძლევა ალტერნატიულ ენერგიაზე მომუშავე ავტომობილის შესყიდვის შესაძლებლობას (მაგალითად: ჰიბრიდული და ელექტროავტომობილები). ეს გარემოება პირველად 2019 წლის „სახელმწიფო ავტოპარკის მართვისა და რეგულირების საკითხების უწყებათაშორისი სისტემური შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში[5]“ აღინიშნა. დადგენილება ტექნიკურ მახასიათებლებში ყველა კლასის ავტომობილისთვის ითხოვს არანაკლებ 5 საფეხურიან მექანიკურ გადაცემათა კოლოფს, რაც ჰიბრიდულ და ელექტრო ავტომობილებს არ გააჩნიათ. ეს ფაქტორი თავის მხრივ, ამცირებს საწვავის და ავტომობილების საექსპლუატაციოდ საჭირო ფინანსების ეკონომიურად ხარჯვის შესაძლებლობას და ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო სისტემების ხელშეწყობას. გარდა ამისა, მთავრობის დადგენილებაში სასურველია გაიწეროს

[4] გუბერნატორების ადმინისტრაციების ავტოპარკი და საწვავის ხარჯები: 2017-2018
[5] აუდიტის ანგარიში

საწვავის ლიმიტების განმსაზღვრელი, ერთიანი სარეგულაციო სისტემა, რათა მოხდეს ასოცირებული ხარჯების მაქსიმალური ოპტიმიზაცია.

დანართი#1 - საჯარო დაწესებულებები რომლებიც ცალკეულ მონაცემებს არ აღრიცხავენ, არასრულად აღრიცხავენ ან თავი აარიდეს გასაჯაროებას.					
უწყება	**კილომეტრაჟი**	**მოხმარებული საწვავის ოდენობა**	**წვის საშუალო მაჩვენებელი**	**საწვავზე დადგენილი ლიმიტი**	**ავტომობილის საწყისი ღირებულება**
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	X	X	X	X	X
შემოსავლების სამსახური	X	X	X	X	X
სახელმწიფო ხაზინა	X	X	X	X	X
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	X	X	X	X	X
საკანონმდებლო მაცნე	X	X	X	X	X
იუსტიციის სახლი	X	X	X	X	X
აღსრულების ეროვნული ბიურო	X	X	X	X	X
მონაცემთა გაცვლის სააგენტო	X	X	X	X	X
სმართ ლოჯიქ	X	X	X	X	X
საქართველოს ეროვნული არქივი	X	X	X	X	X
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	X	X	X	X	X
ნოტარიუსთა პალატა	X	X	X	X	X
იუსტიციის სასწავლო ცენტრი	X	X	X	X	X
დანაშაულის პრევენციის ცენტრი	X	X	X	X	X
გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი - სსიპ „112“	X	X	X	X	X
შსს აკადემია	X	X	X	X	X
სასაზღვრო პოლიცია	X	X	X	X	X
დაცვის პოლიცია	X	X	X	X	X
შსს - ჯანმრთელობის დაცვის სამსახური	X	X	X	X	X
შსს მომსახურების სააგენტო	X	X	X	X	X
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	X	X	X	X	X
ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	X	X	X	X	
სახელმწიფო აუდიტის სამსახური	X	X	X		
სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური			X	X	X
სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური	X	X	X		
სტატისტიკის ეროვნული სამსახური	X		X		
ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური	X		X		
რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	X		X		
კონკურენციის სააგენტო	X		X		
ეროვნული ბანკი	X		X		
დაცული ტერიტორიების სააგენტო	X				
ბიზნესომბუდსმენი	X		X		

სურსათის ეროვნული სააგენტო			X	X	
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო					X
სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო					X
ცენტრალური საარჩევნო კომისია	X				
სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო		X			
წიაღის ეროვნული სააგენტო		X			
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია					X
სასოფლო სამეურნეო კოოპერაციების განვითარების სააგენტო	X				
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი				X	

X-ით აღნიშნულია ის პუნქტები, რომლებზეც არ მოხდა მონაცემების მოწოდება.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
ტ. შევჩენკოს ქ. №20 • თბილისი 0108 • საქართველო
ტელ: +995 32 2 92 15 14 • ელ-ფოსტა: info@idfi.ge
WWW.IDFI.GE